№ 235 13 ნოემბერი, სამშაბათი 1866—1879 13 ნოემბერი, სამშაბათი № 235

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 14 ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲣᲠᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ:

I

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲰᲥᲣᲮᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲡᲬᲕᲘᲛᲡ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲛᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲑᲝᲚᲓᲝᲜᲘᲡᲐ, ᲒᲐᲓᲛᲝᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲛ

II

ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ

ᲛᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ

ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲑᲬᲜᲘᲐᲡ ᲫᲐᲚᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

(3—2)

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲘᲛᲚᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲣᲚᲐ: ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲯᲐᲠᲡ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲔᲜᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡᲐᲝ.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲙᲘᲖ ᲡᲐᲚᲘᲡᲑᲔᲠᲘᲛ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐᲝ.

ᲙᲔᲨᲢᲘ, 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲔᲠᲗᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗᲐᲪ, ᲐᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲜᲐ, ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ	—	94—25
ᲛᲔᲝᲠᲔ — — —	—	93—25
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ — —	—	93—75
ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ — —	—	93—50
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ.	—	90—25
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ	—	90—25
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ	—	„—„
ᲝᲥᲠᲝ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ	—	7—85
ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	—	„—„

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲞ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ—	—	228—50
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ —	—	222—25

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — —	25	—12	ᲞᲔᲜᲡᲘ
ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ — —	214	—25	ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ — — —	265	—	„ ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ
ᲕᲔᲜᲐ — — —	129	—	„ ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ — — —			

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ - ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲜᲝᲔᲑᲠᲘᲡ 7-Ს ᲛᲝᲮᲓᲐ:

ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲖᲔᲓ ᲛᲝᲚᲔᲕᲜᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲔᲗ, ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲤ. ᲔᲘᲪᲔ - ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲑᲐᲠᲝᲜ ᲑᲠᲘᲣᲒᲔᲜᲘ, ᲗᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑ. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲤ. ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ—3 Მ., ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ—1 Მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 14 ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲣᲠᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ:

I

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲰᲥᲣᲮᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲡᲬᲕᲘᲛᲡ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲛᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲑᲝᲚᲓᲝᲜᲘᲡᲐ, ᲒᲐᲓᲛᲝᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲛ

II

ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ

ᲛᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ

ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲑᲬᲜᲘᲐᲡ ᲫᲐᲚᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

(3—2)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ - ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲜᲝᲔᲑᲠᲘᲡ 7-Ს ᲛᲝᲮᲓᲐ:

ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲖᲔᲓ ᲛᲝᲚᲔᲕᲜᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲔᲗ, ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲤ. ᲔᲘᲪᲔ - ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲑᲐᲠᲝᲜ ᲑᲠᲘᲣᲒᲔᲜᲘ, ᲗᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑ. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲤ. ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲬᲔᲕᲠᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲣᲤ. Ი. ᲛᲔᲡᲮᲘ, თ. Პ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ი. ᲯᲐᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ. ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲘᲟᲜᲘᲐ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲬᲛᲔᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ: Დ. Მ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ, ᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲓ-ᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲣᲤ. ᲕᲐ'. ᲞᲔᲠᲘᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲐᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ 30 ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ; ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐᲪ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲔᲜ.

ᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ, ᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲤᲐᲡᲘᲗ, ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 8 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

ᲫᲐᲚᲐᲥᲛᲐ �გᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ 1,600 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲓᲐᲛ; ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ 500 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲢᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲐᲓ.

*** ᲑᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲔᲠᲗᲡ ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲔᲚ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲣᲤ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲠᲭᲐᲠᲝᲕᲔᲡ ᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲓᲐᲡᲪᲠᲐ ᲮᲐᲜᲯᲚᲘᲗ. ᲝᲗᲮ-ᲮᲣᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲗᲐᲜ, ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲖᲔ; ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲞᲐᲚᲢᲝ, ᲙᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲣᲮᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲭᲠᲘᲚᲘ, ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲠᲗᲡ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲬᲔᲠᲘᲚ. ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲩᲐᲣᲓᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲠᲭᲐᲠᲝᲕᲗᲐᲜ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲝ; ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ᲐᲛ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲣᲡᲔᲡᲮᲜᲘᲐ ᲣᲤ. ᲛᲐᲠᲭᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲕᲐᲓᲐᲮᲔᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐ, ᲛᲐᲠᲭᲐᲠᲝᲕᲡᲐᲪ ᲣᲩᲘᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ, ᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲜᲘᲡ (ᲜᲔᲣᲡᲢᲝᲙᲘᲗ) „ᲘᲡᲞᲝᲚᲜᲘᲢᲔᲚᲜᲘ ᲚᲘᲡᲢᲘᲗ“ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐᲝ... ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს კაცი ამჟამად დაჭერილი არისო.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ქართული საეკლესიო გალობის წაყვანა და აგრეთვეამ გალობისათვის ნოტების შედგენის საქმე ყოვლად-უსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა იკისრაო.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ თფილისის სიონის ეკლესიაში ჯერაც იპოვება ანტონ კათალიკოზის შესამოსელი, აგრეთვე სამიტროპოლიტო ძვირფასი ლეჩაქი ოქროს ჯვრით ნაკერი და მიტრა ძვირფასის ქვებით მოწყობილიო. სასურველია, ამათ დაცვასა და რიგიანად შენახვას ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 2 ნოემბერს. ხშირათ მე მიზეზი მქონია—ვიყო მუნჯი მჭვრეტელი იმ შესაწუხარ შემთხვევებისა, რომელიც მომხდარა და კიდევაც ხდება კახითის ერთ მოსამართლესთან. რადგანაც თვალ წინა მაქვს, რომ თქვენი პირ-და-პირი მოვალეობა და მიზანია აღმოუხვრათ ის ბოროტ-მოქმედებანი, რომლისაგანაც კენესიან არათუ მარტო ცალკე პირნი, არამედ მთელი საზოგადოება, გარდავწყვიტე ხმა ამოვიღო და გამოვააშკარო ის, რაც დღევანდლამდენ იყო დაფარული. იმედი მაქვს, რომ თქვენც, უ. რედაქტორო, როდესაც განიხილავთ საქმის გარემოებას, თქვენი მხრიდაც დავიწყებას არ მისცემთ ამ გარემოებას. დავიწყებ ფაქტებიდამ:

1) 1875 წ. ერთი სოფლელი გლეხი კაცი აძლევს საჩივარს ერთ თათარზედ ზემო ხსენებულ მომრიგებელ მოსამართლეს, რომლისგანაც ეითომც იმ თათარს მოუპარავს ხარი. საქმის გარჩევის დროს, თუმცა მოწმეებმა უჩვენეს თათრის სასარგებლოთ და დაამტკიცეს იმისი სიმართლე, მაგრამ მოსამართლემ მაინც კიდენ გაამტყუნა ის და გადუწყვიტა ექვსი თვე ციხეში ჩაბძანება. თათარმა ამ გადაწყვეტილებაზედ უთანხმოება გამოაცხადა და მიართვა მოსამართლეს აპელაციური საჩივარი ოლქის სასამართლოში წასარდგენელათ. ამის შემდეგ ერთი წელიწადი როცა გავიდა, მოსამართლის განკარგულებით პოლიციამ დაიჭირა ის თათარი და წარუდგინა იმავე მოსამართლეს; ამან უბძანა იმას ციხეში ჩაჯდომა.

—ბატონო, რას შვრებიო? მე ხომ შენ არზა მოგართვი შენ გარდაწყვეტილების უთანხმოებაზედ და უმაღლეს მთავრობისაგან მაგ საგანზედ ჯერ არა რაიმე განკარგულება არ მომხდარა?

მოსამართლემ აპელაციურის საჩივრის მიღებაზედ უარ-ჰყო და უთხრა თათარს: „მე შენგან არაფერი არ მიმიღიაო“. როდესაც თათარმა დაუმტკიცა საჩივრის მიცემა და იმის უწესო მოქმედებაზედ დაემუქრა საჩივრით, მაშინ მოსამართლემ მეორეთ გაანთავისუფლა ის.

ბავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და სუდიამ მისწერა პოლიციას რომ ის თათარი დაატუსაღონ. პოლიციამ მამასახლისის ძალით დაიჭირა და ჩასვა ციხეში, სადაც საწყალი დავიწყებული ქვეყნისაგან იჯდა ექვსი თვე.

2) 1876 წელს ერთმა პრიკაზჩიკმა უჩივლა თავის ხაზაინს (აღას); წარმოადგინა მ. მოსამართლესთან თამასუქი და თხოულობდა დაკმაყოფილებას. მოსამართლემ თავისი უზომო აზრით ის თამასუქი ჰპოვა შაუწყნარებელი, ამისგამო პრიკასჩიკის მოთხოვნილებაზე უარი ჰყო. პრიკასჩიკმა მოსამართლეს დრო შეურჩია და ინკოგნიტოდ ღამე ვიზიტი გაუკეთა. მეორე დღეს ვიზიტის შემდეგ პრიკასჩიკი მიადგა თავის აღას „აღასასრულებელი ფურცლით“ ხელში და ემუქრებოდა დუქნის აწერას, თუ არ გაუსწორდებოდა. მაჰარი ძალ-დატანებულ იყო გასწორებოდა ღამის მოვიზიტეს. ამ ვაჭარმა თავის მხრით მისცა უფ. მოსამართლეს აპელაციური საჩივარი,

ფელეტონი

ისტორიული მასალები.

(ბაგრძელება)

ამავე წელს სელიმ-აღა შიფიანი ჯარით შარსს წავიდა საომრად. პირველად ხმა დაეარდა, როგორც თუ შარსის ფაშას დაემარცხებინოს შიფიანი, მაგრამ მერმე ცხადათ აღმოჩნდა შიფიანის დიდი გამარჯვება და შარსის ფაშის დამარცხება. ხელ-ახლავ აეშალნენ ფაშას, მაგრამ ვერა გაარიგესრა. 1805 წ. 17 თებ. ფაშამ სელიმ-აღა შიფიანი მოაკვლევინა, მაგრამ მერმე კი ინანა, რადგან სცნო, ეითომც ქართველებთან აქვს საქმე დაჭერილიო, ის კი არა იმისი აზრი იყო, რომ რადგან ქვეყნის მართვა ორთავ ქართველის მოდგმას ჩაუვარდა ხელში, ერთ ერთს თუ არ მოვაცილეთ, არ იქმნებაო. ბულო-აღა და ბადა-აღა შიფიანი იმერეთს გაიქცნენ; ბულო-აღა დაიჭირეს, უკან მოიყვანეს. ბოლოს შეიტყო ფაშამ ამითი სიმართლე და პატივის ცემით გაანთავისუფლა.

ამ დროს ერთს ქუდა-მეზინს ვიცლა მედუქნის თავის მეზობლის ცოლთან მაჰმადიათან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია. ამ მედუქნის 14 წლის ვაჟს შეუნიშნია ურიგობა რამდენიმეჯერ და მამისთვის შეუტყობინებია: უჩივლე, დააჭერინე ციხეში. მამას უთქვია: „შვილო, ღმერთი ჭრისხამს მაგას მაგისთანა ავი საქმისთვის დეე, ღვთისაგან იპოვნოს და არა ჩვენგანაო.“ დაუხედია ყმაწვილს, რომ მამაჩემმა ყურადღება არ მიაქცია ჩვენს გაუპატიურებას და ერთ დღეს, როცა ავა მინნარაზედ ეს ქუდა-მეზინი ეზანის მისაცემლად, დაუჭერს ყმაწვილი თოფს ქვეითგან, ჰკრავს ტყვიას გულში და მინნარითგან კი გარდმოლეწამს!. მისცვივდებიან აქეთ-იქითგან სიმრავლე, იმათში ამ ყმაწვილის მამაც მოვა გულ-გახეთქილი, ნახავს, რომ გაანჩხლებულ თავის შვილს თოფი უჭირავს ხელში და სწმენდს; სამდურავს ეტყვის იმ სიმრავლეში: „შვილო, რად ჰქენ მაგნაირი ავაზაკობა? მე არ გითხარი, ღმერთი გამოვა ავკაცის ჰახითგანაო?“ გაანჩხლებული ყმაწვილი პასუხს უგებს: „მამაჩემო, ღმერთი ძალიერ მოთმენია, მე რომ მეცადა მისთვის, ბევრჯერ გააუპატიურებდა დედაჩემსაო...

ქარგი ეს არის, საქმე ღმერთამდის აღარ გაუშვი, მევე ჩემის ხელით მოვსპე ჩვენი გაუპატიურებაო...“

1806 წ. აჭარაში რაღაც არევ-დარევა მოხდა; ამის გამო სელიმ-ფაშა აჭარას წავიდა; სამი თვის შემდეგ მოვიდა და აჭარელი თულუმბა ოლქა-ბაში თან მოიყვანა და დაახჩობინა.

1807 წ. რუსი და ოსმალო აიშალნენ; გალაშკრების ფარმანი წაიკითხეს და საომრად დაემზადნენ, ქრისტიანებს იარაღი შეაძრეს და ძეჰა დაელაზედ წავიდა ძართლისაკენ, მაგრამ მალე ხელ-ცარიელი უკუშემოიქცნენ. დარმგებაგანწყობაში ჯარისა და საქმეებისა, ცალკე უძილობით და ცალკე მოუსვენრობით, გაციედა და შეუძლოდ გახდა სელიმ. 14 თებ. ხეჩინაშვილმა რუსის მოციქული მოიყვანა ძართლიდგან და მრთელ იმერლებს ნება მისცეს წასვლისა. აღჯა-ყალაზე და ბუაჯ-ყალაზე შემოდგომა თქვეს, 21 შარსის სოფლების აღება რუს-ქართველთაგან ომრთა; ჯიხურების კეთებას შეუდგნენ; 28 აპრილს ფაშა ჯარით ახალქალაქს წავიდა. შუბაშმან და იენიჩარ-აღამ რომ გაიმინდრეს ფაშის უყოფნელობაში, მრთეი-

მაგრამ ამბობენ, ეგ საჩივარი უეცარის სიკვდილით გარდაიცვალაო. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

3) ამ მოკლე ხანში ბ—ეი ქურდობაზედ დაიჭირეს და მოსამართლემ წინათვევ დაატუსაღა; მაგრამ ორი დღის შემდეგ გაამართლა. მე ვგონებ მოსამართლე აგრე უნდა მოქცეულიყო, თუმცა დამტკიცებული ქურდობა ორი დღის დატუსაღებით არ დაისჯება.

ამ სასამართლოში ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დღეს დაძახებული იყო და ხვალე უწყება მიიღო; ანუ შეიძლება ხვალ შენს საქმეს არჩევდნენ და უწყება დღეევანდელი რიცხვით მიიღო. დღეს თუ გამოცხადდი უწყების ძალით, ეტყვიან:—შენი საქმე ხვალ გაირჩევაო; თუ ხმას ამოიღებ, ეტყვიან: მწერალი შემცდარაო! აგრე, ბევრჯელ მწერლის შეცდომილებით, შენი საქმე გამოირიცხება მოქმედებიდგან. თუ საქმის გაახლება გინდა, უნდა ჯარიმა წარადგინო. ერთი სიტყვით, მეცნიერი უნდა იყო, რომ გაიგო როდისა ხარ დაბარებული. დღეევანდელ რიცხვით ხვალ წადი, ხვალინდელ რიცხვით დღეს მიდი!

თუ აპელაცია შეიტანე, უნდა იცოდე, რომ იმით უხარიან მოსამართლის ბუხარს შენ მოელი მოუთმენლად უმაღლეს მთავრობის განკარგულებას, ის კი არ იცი, რომ შენი არზა სხვაფრივ უფრო საჭიროა მოსამართლესთვის.

ამ ზემოხსენებული მოსამართლეს სხვათა შორის აქვს ერთიც ცუდი ზნე და ავათმყოფობა:—საღამოდგან დაწყებული დილის ათ საათამდე თამაშობს შტოსს და შორიდგან მოსული საწყალი გლეხ-კაცები მშიარ-მწყურვალი ყრიან სასამართლოს წინ და ელიან „ილიას“,—ღმერთმა იცის თუ როდის გამოიფხიზლებს? რადგან ამნაირ ქეიფშია გართობილი ეს მოსამართლე. ამის გამო ხშირათ გადაიდება ხოლმე შემდეგისთვის ამ საწყალი ორმოც ვერსიდამ მოსული გლეხ-კაცების საქმე. ეს შესაწუხარი ისტორია განმეორდება ხოლმე მუდამ დღე...

ელდა.

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო!

რადგან თქვენს წარმომადგენელს არ გაუგონია ის შესანიშნავი სიტყვები სამღვდელოების ყრილობაზე წარმოთქმული მ.მ. მანსვეტოვისა და ქონჩუევისაგან, რომელზედაც ვაკვრით იყო ნათქვამი ამას წინეთ „დროებაში“, მე მსურს ვაცნობო თქვენს მკითხველებს ის სიტყვა და გთხოვთ ადგილი მისცეთ გაზეთში:

7 ოქტომბერს საღამოს დროს ეს ინი შემოვიდნენ სხდომის ზალაში და თავმჯდომარეს სთხოვეს სიტყვის თქმის ნება შესახებ მათი წევრათ აღრჩევისა. ნების მიღების შემდეგ აი რა სთქვა მამამანსვეტოვმა მიახლოვებით:

„მამანო დეპუტატნო! მორჩილად გმადლობთ იმ რწმუნებისათვის, რომელიც თქვენ ჩვენ დაგვიმტკიცეთ თქვენის აღრჩევით სემინარიის სამმართველოში. ძლიერ გმადლობთ, რომ ჩვენი დაწყლულებული გული ამით გაამთელეთ და დაუმტკიცეთ ჩვენ მტრებს, რომ ჩვენ მართალნი ვართ და არა მტყუანნი. მაგრამ ძლიერ ვსწუხვართ, რომ ორთავემ უარი უნდა ვსთქვათ ამ თანამდებობის მიღებაზე.

„ამ უარს ჩვენის მხრით დიდი საფუძველი აქვს და ეხლავე მოგახსენებთ: ჩვენ გაბლდით ამას წინეთ დანიშნულნი სემინარიის ზამგეობის წევრებათ. ჩვენ ვერ მოვახერხეთ გულ-გრილათ გვეყურებია სხვა-და-სხვა უწესოებისათვის სემინარიაში და პირა-თმქმელად ვიქცეოდით. ბევგონა ამით მადლობას დაეიმსახურებდით. მაგრამ დიდი უსიამოვნება ვნახეთ. მოვიდა რევიზორი უფ. ქერსკი, დაგვიპარა და საიდუმლოთ გამოგვკითხა ყოველიფერი; ჩვენც ყოველიფერი მართალი უთხარით, რა უწესოებასაც ვხედავდით. ამისთვის დაგვიწყეს ჩვენ დევნა:

ლი ეკკლესიები დასჩხრიკეს და ათ-ათი ყურუში აიღეს. ფაშას ახალქალაქს რუსზედ გაემარჯვებია და სასიხარულოდ 20 ზარბაზანი გააგდეს; ასრეგე გამარჯვება თქვეს ბანჯის თათრებისა რუსებზედ. რუსი მუთაისისკენ წასულა. მართლა სამი ზარბაზანი და სამიც ჯაბა ყუთი მოიტანეს ახალქალაქითგან ახალციხეს. ფაშამ 30 ზარბაზანი და ჩადრები გააგზავნა ახალქალაქსა ჯარისთვის. ხერთვისის ხიდი ჩატყდა და ერთი დიდი ზარბაზანი ჩაუარდათ, ვეღარ იპოვეს.

შემდეგ ფაშა კიდეე ახალქალაქს წავიდა. რუსის ხომალდები მოსულა ქემხელსა. უსუფა-ფაშის ჯარი დაუმარცხებიათ რუსებს უარსსა. 21 თებერვალს ბათუმისაკენ რუსის ხომალდები მოსულან. ამ დროს იყო თუ ცოტა შემდგომ ჩახალოღლები აპარაში აესნიენ და ფაშის კოშკს ცეცხლი მისცეს და დასწვეს. მაშინ უთქვიათ ეს ლექსი:

ა! გიდი შენ ჩახალ-ოღლი, ერთ ხანად გიქროდა ქარი,
ბოლქობა შემოიღე, რომ ვერ ჰქენე კარგი ქარი,
ფაშას ყულა დაუქციე, მოუკიდე ცეცხლის ალი!
ეს სელიმ-ფაშამ შეიტყო, მჯავრისგან შეიქმნა მთვრალი,
ჩახალ-ოღლი დაიბარა, გავაკეთოთ ბარიშალი,
ადგა და მთას გადმოვიდა, ადიგვენს ჰამა სამხარი.
ქალაქში ისე შეეიდა, როგორც ხვანთქრის სარასკარი,
ჩახალ-ოღლმა ფაშა ნახა, მას გავარდა ორივ თვალი!
ანგარიში სულ ვერ მისცა, ვერც ტყვილი, და ვერც მართალი,
ფაშის კონახში ვერ დადგა, ბალეს ამოვიდა მფრთხალი.
ოჩრ ლობებში მტერი დახვდა, ვეღარ მოიხვარა ხმალი;
ფიშტოები დაუწყვილეს, ადგ[illegible]ს ცეცხლ[illegible] ალი,
სამ[illegible]

[illegible] რედაქტორო!..

ლეკებმა კიდეე მონახეს ახალციხე, შეერთდნენ ენიჩრები და წავიდნენ დაელაშვილ მართლს. ბზაზედ ქართველები დახდომოდნენ, ეკონკლავათ ცოტა და უკანვე მობრუნდნენ ცარიელნი. ამ დროს უარსისკენ ერთი რაღაცა ციხის დაჭერა თქვეს რუს-ქართველთაგან. სელიმ-ფაშა უარსიდგან მოვიდა, ფარმანი წაიკითხეს და შათლიღი ჰქმნეს (სიხარული).

1808 წელს ფაშა ჯარით ართვინზედ წავიდა; იქ კარგი ჩხუბი მოსვლიათ, სელიმის დამარცხება ითქვა. შემდეგ ართაანს მივიდა, იქიდამ შოცხოეს გარდმოვიდა, ხანუმები წაიდნენ და ოჯახლის ჯარიც მისაგებებლად წავიდა. 4 აპრილს ფაშა ისეე ახალციხეს მოვიდა.

ამ დროსვე ახალციხეში ეიზილბაშის ელჩი მოვიდა ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონისშვილისაგან. რუსის მოსელის შიშიანობა ჩამოვარდა ახალქალაქისაკენ. ბეჭა ლამე ჯარით წავიდა. 7 გიორგობისთვეს ერევნის ალება სთქვეს რუს-ქართველთაგგან.

ახალციხე, 29 ღვინობისთვეს.

ბინგა მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთ დროს განსვენებული არხიეპისკოპოსი ევსევი დაესწრო შაგირდების გამოცდაზე ერთმა შაგირდმა კარგად მიუგო, მაგრამ „ედინიცა“ დაუსვა, იმისთვის რომ მისი ძმის პრიხოდის ეკკლესია უწმიდურათ ენახა. ჩვენ, რასაკვირველია, მისი ძმის შეცდომა სახეში არ მივიღეთ და „ხუთი“ დაუსვით. როცა იანგარიშეს ბალები, გადასაყვანი ბალი გამოუჭიდა შაგირდს. ამაზე უ. ქუეშინსკიმ ერთი უშველებელი დაგვაწია; მოინდომა ჩვენი გამოგდება. ჩვენ ეს ჩვენი გარემოება მოვახსენეთ ეგზარხს. ის ძლიერ გულ-კეთილი კაცი იყო და მადლობაც გვითხრა მისთვის, რომ შაგირდი არ დაიჩაგრაო; მაგრამ ქუეშინსკი მაინც გადაგვეკიდა.

„ბოლოს კაცი გამოგვიგზავნა ქუეშინსკიმ და შემოგვითვალა, არც ერთი აღარ შემოხვიდეთ სემინარიის სამმართველოშიო, თქვენ დათხოვნილნი ხართო. რაზედ, რისთვის?—სრულებით არ გვითხრეს. მიზეზის შეტყობა რომ ვკითხეთ მას.

„ამისთანა უბედურების გამოცდის შემდეგ რა ექნა, თანამდებობაც მიშლის და სწორეთ არ შემიძლია წევრათ ვიქნე სემინარიის სამმართველოში, ვიდრემდის იქ იქნება უფ..... ბოხოვთ ყველას მორჩილად გაგვათავისუფლოთ ამ მოვალეობისაგან. ძლიერ ვსწუხვარ, რომ უარს გეუბნებით თქვენ თხოვნაზე, მაგრამ რა ექნა, არ შემიძლია. შეიძლება საქალებო შკოლაში დაერჩეთ წევრათ და სემინარიაში კი არა..“

მეტის მეტად საწყენად დარჩა ეს უარის თქმა სამღვდელოებას, მაგრამ რას იზამდნენ. ყოველი პატიოსანი პირი ერიდება წევრად დანიშვნას სემინარიის სამართველოში ერთი კაცის შიშით...

ექსარხოსმა ბრძანა შეკრებილებაში: „თუ ვისმე რამე სათქმელი და საჩივარი გაქვსთ, უთხარით თქვენს აღრჩეულ წევრებსო. თუ რამე ცუდი ხდება სემინარიაში, ამას თქვენი აღრჩეული წევრები უნდა ამბობდნენო და არა თქვენაო.“

თუ რამეს თქმა გაბედა სამღვდელოების წევრებმა, ციმბირში გადასახლებას ექადებიან და ვინ გაბედავს ამაების თქმას! რაზედ გვიგდებენ ჩვენ წევრებს გარეთ? რათ არ გვეუბნებიან—რა დაეშავეს მათ? სამმართველოებში ის წევრები მოსწონთ, რომელნიც სრულებით არაფერზე ხმას არ იღებენ და მუნჯებათ გადაქცეულან *)! დეკანოზი პავლიევი სამღვდელოებას სემინარიის გაჭირვებას კი არ ეუბნებოდა, პირ-იქით უფ. ქუეშინსკის მაგიერათ ეჩხუბებოდა...

ერთი დეპუტატთაგანი.

განცხადებანი

პარასკევს, 16 ნოემბერს,
თუილისის ქალაქის რჩევის ზალაში
ვ. ბ. პავლოვი
„პირუტყეთა დამცველის თფილისის საზოგადოების“ სასარგებლოდ წაიკითხავს

პუბლიკურ ლექციას
„კაცის ზნეობით დამოკიდებულებაზედ პირუტყვთან“

პროგრამმა ლექციისა: პირველად გაჩენილი პირუტყვები.—პირუტყვის ბედი ადამიანისაგან შეცოდების შემდეგ.—ჩვენი ზნეობითი მოვალეობა პირუტყვების შესახებ.—მომავალი ბედი პირუტყვებისა.

ბილეთის ფასი—ერთი აბაზია

ბილეთების ყიდვა შეიძლება ჯანჯულაზოვის მაღაზიაში და ქელბერის კანდიტერსკში.

ლექცია დაიწყობა 7½ საათზე.

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქურეროვის წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქეკელიასთან შკოლაში,

ოზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. ჭალაგანიძესთან,

ბორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხერსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სიღნაღს: უფ. კ. ბაღაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

*) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეის შემდეგ, როდესაც უფ. ქუეშინსკი აღარ არის სემინარიაში, ამგვარი მდგომარეობა სემინარიისა და იმის ბამგეთბის მოისპობა.

რედ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორჩ. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	13	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მან	კაპ.
ქაღაქისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურგს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ ღლე კვირას გარდა. ზუდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. დ. ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ლია წიგნის	3	
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7	

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 11 ნოემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქვრი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თარაქამისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური ტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროწ. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ულა რგვალი ბრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო ხაშეალთ ფ.	6	70

თფილისის სამეურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ ღლე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ბერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტავაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ბერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტავაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ბერმიშევი, შინაგ.; ჭურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Ноября 1879 г. Типографія Меликова. ბეჭდავს. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. ეფსეი.